მჭედელი და ეშმაკები

ერთი მჭედელი იყო ქალაქსა შამისასა. წამსა და წუთს ეშმაკს აგინებდა. შეწუხდენ ეშმაკნი და მჭედლისათვის მახე გააკეთეს. ერთი ეშმაკი ბერის კაცის სახით მოვიდა, ერთი ვაჟკაცი შვილად მოიყვანა, მჭედელს ოცი ფლური მოუტანა: ამ ჩემს შვილს შენი ხელობა ასწავლეო!

მჭედელს იამა და მიიბარა. კარგს სწავლებას დაჰპირდა.

ორს თვეს უკან ერთი ეშმაკი ბერს, უძლურს კაცად შეიცვალა და მოვიდა მჭედელთანა, ორასი ფლური მოუტანა და უთხრა:

– დია დავბერდი, აღარა ძალმიც რა, ეს ხელფასად აიღევ, დამადნევ, გარდამახალისე და ოცისა წლისა გამაკეთე!

მჭედელმან ეშმაკს აგინა: ეს როგორ იქმნება კაცისაგანაო!!

შაგირდმან უთხრა: ფლური გამოართვი, მე თოქმაჩის შვილი ვარ, მე კარგა დავახალისებო.

ეშმაკი ეშმაკურის საქმის მცოდნელია. შეკრეს ეს ბერიკაცი, დადვეს. ნახშირი და ცეცხლი დააყარეს და დაუწყეს საბერველით ბერვა, მრავალი იძახა: დავიწვი, ნუ დამწვავთო!

მათ უფრო უბერეს. ეშმაკს რა დასწვავდა=!

ცოტაოდენი ჟამი გამოხდა, ცეცხლიდამ ოცის წლის კაცი ამოძვრა. გაუკვირდა ყოველსა კაცსა და განითქვა ეს ამბავი: ესეთი ხელოსანია იგი მჭედელი, ორასის წლის კაცს დაახალისებს და ოცის წლის ვაჟკაცად შეიქმსო!

მიესმა შამელს ყადს; დია დაბერებულიყო, ორასი ფლური მოუტანა: დამახალისეო:

მჭედელი დაჰპირდა. ეგონა, ამასაც დავახალისებო. გარდააცვეს თავსა ფერხი, ჩადვეს ცეცხლში და დაუწყეს ბერვა. რა გაჩხრიკეს ცეცხლი, ძვალიც ვეღარ პოვეს, ესრეთ დამწვარიყო.

დაიჭირეს საბრალო მჭედელი და დაარჩვეს. ეშმაკებმან ეს ხრიკი უგდეს.

– ეშმაკი ეშმაკს კიდეც გარდაახალისებს და კიდეც ნახავს. შენ ეშმაკი ხარ და ეშმაკს ჰხედავნ, მაგაზე რა ფიცი გინდა, ან ვინ არ დაგიჯერებს.

თქვა რუქამ არაკი: